

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის მიერ მსჯავრდებულთა შეწყალების პროცესში არსებული შესაძლო კორუფციული სქემის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე

მიმდინარე წლის 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა პირადი გადაწყვეტილებით, შეწყალების კომისიის არარსებობის პირობებში, 34 პატიმარი შეიწყალა. მათ შორის აღმოჩნდნენ:

-) პოლიციელის მკვლელობაში მსჯავრდებული რამაზ დევაძე;
-) გიორგი ოთხმეზურის მკვლელობაში მსჯავრდებული ასლან ბეჟანიძე;
-) მკვლელობაში მსჯავრდებული ზურაბ ნადირაძე, რომელიც 2013 წლის 26 აპრილს თბილისის ინტერპოლის ბიუროდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩეხეთში დააკავეს, რის შემდეგაც ის საქართველოს გადასცეს;
-) იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადების მიხედვით, წინა შეწყალებისგან განსხვავებით ამ შემთხვევაში პრეზიდენტმა მსჯავრდებულთა შეწყალებამდე იუსტიციის სამინისტროსთან კონსულტაცია არ გაიარა. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ შეწყალებულთა სიაში ფიგურირებს 2009 წლიდან ძებნილი პირი და სწორედ ამიტომ პრეზიდენტის შეწყალების აქტის აღსრულება ამ კონკრეტული პირის შემთხვევაში და მისი გათავისუფლება პენიტენციური დაწესებულებიდან ფიზიკურად შეუძლებელი იყო.

ამასთან, „ევროპული საქართველოს“ წევრს, ირმა ნადირაშვილს საადვოკატო წრებთან დაახლოებულმა პირმა წყაროს გაუთქმელობის პირობით მიაწოდა ინფორმაცია მსჯავრდებულთა შეწყალების პროცესში შესაძლო კორუფციული სქემის შესახებ. კერძოდ, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად დაინტერესებული ადამიანები უკავშირდებიან პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს, დიმიტრი გაბუნიას და მასთან გადიან ფინანსურ საკითხებს, თუ რა ფასად შეიძლება ესა თუ ის პირი იყოს შეწყალებული.

აღნიშნულ საკითხზე საქართველოს პროკურატურამ გამოძიება დაიწყო, თუმცა დღემდე არ წარმოუდგენია შუალედური ინფორმაცია კი საქართველოს პარლამენტისთვის. გამოძიების ფარგლებში ასევე არ გამოკითხულა საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ზემოთ აღნიშნული პირების შეწყალების შესახებ, რაც მიმდინარე გამოძიებას მხოლოდ ფორმალურად აქცევს და ბადებს ეჭვს გამოძიების განზრახ გაჭიანურების და არაეფექტურად წარმართვის შესახებ.

საზოგადოებამ და პარლამენტის წევრებმა მიიღეს ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირების კანონსაწინააღმდეგო ქმედებების, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, სუვერენიტეტს და პოლიტიკურ ინტერესებს.

შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია შეიქმნას პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია და გამოიკვლიოს მსჯავრდებულთა შეწყალების პროცესში შესაძლო არსებული კორუფციული სქემა, რის შედეგადაც მოხდა ისეთი პირების შეწყალება, რამაც საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია.

პარლამენტის დროებითმა საგამომიებო კომისიამ, მათ შორის, უნდა გამოიძიოს და დაადგინოს შემდეგი საკითხები:

- 1) შეწყალების კომისიის არარსებობის პირობებში, კონკრეტულად ვისი რეკომენდაციითა და რის საფუძველზე მიიღო პრეზიდენტმა იმ მსჯავრდებულების შეწყალების გადაწყვეტილება, რამაც საზოგადოების კრიტიკა გამოიწვია;
- 2) რა როლი მიუძღვის საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს, დიმიტრი გაბუნიას მსჯავრდებულთა შეწყალების პროცესში;
- 3) არსებობს თუ არა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს, დიმიტრი გაბუნიას და პრეზიდენტის ადმინისტრაციის სხვა თანამშრომელთა შესაძლო კავშირი შეწყალებულ პირებთან და მათ ოჯახებთან;
- 4) არსებობს თუ არა კორუფციული სქემა მსჯავრდებულთა შეწყალების პროცესში და ვინ არიან ამ სქემის მონაწილე პირები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის, აგრეთვე პარლამენტის რეგლამენტის 61-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად, მიზანშეწონილია, შეიქმნას საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის მიერ მსჯავრდებულთა შეწყალების პროცესში არსებული შესაძლო კორუფციული სქემის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისია.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. წინამდებარე დადგენილებაში მითითებული სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით შეიქმნას საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისია.
2. დროებითი საგამომიებო კომისიის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 3 თვე.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
არჩილ თალაკვაძე